ISSN 0132-6015

ნიანგი

8
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— რა არის ეს?! რას იტყვის შემკვეთი?!
— კაბინეტი ქე მოვუწყვეთ, ბატონო, და ანი თვითონ იზრუნოს!..

ღია წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცურავი სამშენებლო-სამონტაჟო რაზმის უფროსს ო. ი. ნოდიას!

მას აქეთ, რაც ერთმანეთი გავიცანით, მდინარე აჭყვამ შავ ზღვაში ბევრი წყალი ჩაიტანაო, რომ ვთქვათ, მართალნი არ ვიქნებით, რადგან საბრალო აჭყვა კარგა ხანია ზღვის სანაპიროდან ორი კილომეტრის დაშორებით არის გადაგდებული მდინარე კინტრიშში და, აი, უკვე მერამდენე წელია, ელოდება თავის კალაპოტში დაბრუნებას! საამისოდ კი თქვენდამი რწმუნებულ რაზმს მთელი რიგი სამუშაოები უნდა შეესრულებინა. ახლა ნამდინარევში ჭუჭყიანი გუბეები დგას და, როგორც **„კავგიპროტრანსის“** საპროექტოდან გვწერენ **„...აჭყვას ძველ კალაპოტში გამდინარე წყალი შეიძლება იყოს მხოლოდ წვიმის დროს ან წყალდიდობის შემთხვევაში“**. (სტილი დაცულია). ასე რომ, საქმე იქამდე მიდის, კოკისპირული თავსხმა და წყალდიდობა მდინარე აჭყვას სანაპიროზე მცხოვრებთ სანატრელი უხდებათ. თორემ კარგი ამინდი თუ დაიჭირა, მოგეცათ ლხენა, რა ანტისანიტარია იმეფებს ნამდინარევში! განვლილი წლები, მრავალნაირი ციფრები, ტრესტები, სამმართველოები, საპროექტოები, მცურავი თუ ფეხოსანი რაზმები ერთმანეთში რომ არ აგვერიოს, ვეცდებით, რაც შეიძლება ნაკლებად მოვიხსენიოთ ისინი. ამასთან ერთად, ქობულეთში, ლენინის ქუჩაზე, მდინარე აჭყვას კალაპოტზე გადებული ძველი ხიდი რომ აქლემის კუზივით აუშნოებს ამ შესანიშნავ, ლამაზ საკურორტო ქალაქს, ამაზე, რა თქმა უნდა, დამეთანხმებით! მარტო რომ აუშნოებდეს და ხელს არ უშლიდეს ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას, ადგილობრივ მცხოვრებლების, დამსვენებლების თუ გამვლელი ტურისტების სამართლიან მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდეს, სიტყვასაც არ დავძრავდით, საშვილიშვილოდ შემოვინახავდით „რელიკვიად“ და თაყვანისმცემლებსაც მოვუძებნიდით, მაგრამ... ძველი ხიდი ხიდადვე რჩება, ლენინის ფართო ქუჩას ავიწროებს, ხშირად ფერხდება მოძრაობა და, რაც მთავარია, მიუხედავად რაიონის ხელმძღვანელობის მრავალნაირი პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარებისა, აქ ავტოავარიები უცხო ხილი არ არის!— ბევრი დაუმწუხრებია ამ ადგილზე მომხდარ უბედურ შემთხვევებს!..

ვიწრო ხიდმა ჩვენც შეგვავიწროვა. წინსვლის საშუალება არ მოგვცა და, ქობულეთის გავლით, ფოთში მიმავალნი, იძულებულნი გავხდით, ბათუმში დავბრუნებულიყავით, სადაც აუშკინის ქუჩაზე მდგარი № 124 სახლის პირველ სართულზე გაკრული აბრა წავიკითხეთ:

სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო

საზღვაო-სამდინარო მშენებლობის მთავარი სამმართველო

ნოვოროსიისკის საზღვაო მშენებლობის ტრესტი

მცურავი სამშენებლო-სამონტაჟო რაზმი № 20.

ჰოდა, თქვენს სამუშაო კაბინეტში ჩვენს შორის გულახდილი, საქმიანი საუბარი გაიმართა.

— აღნიშნული სამუშაოს გაჭიანურებისათვის ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელობამ, გასულ წელს, პარტიულ კონფერენციაზე პირადად თქვენ გაგაკრიტიკათ. რას იტყოდით ამის შესახებ? — შეგეკითხეთ ჩვენ.

— ქობულეთის რაიონის პარტიული ხელმძღვანელობის კრიტიკა სავსებით სამართლიანია, — გვიპასუხეთ, — მაგრამ ჩვენც გვაქვს ზოგიერთი ობიექტური მიზეზიო, დასძინეთ. მიზეზი პირველი: **...ამ ობიექტის დაწყებას ჯერ კიდევ 1977 წლის გეგმა ითვალისწინებდა, მაგრამ სამუშაოს დაწყება არ ხერხდებოდა მდ. აჭყვისა და მდ. კინტრიშის შემაერთებელი არხის მშენებლობის დამთავრების გაჭიანურების გამო.**

სიტყვა გაჭიანურება დოკუმენტებში ხშირად გვხვდება და, უმეტესად, თქვენი მისამართით არის ნახსენები.

ისიც უნდა ითქვას, რომ „კავგიპროტრანსის“ საპროექტომ პროექტი ორჯერ შეადგინა. განა არ შეიძლებოდა, იმთავითვე ყველაფერი გათვალისწინებული ყოფილიყო პირველ პროექტში, რაც მეორეში გაკეთდა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ამაში ის არის დამნაშავე, ვინც არ იცოდა, თუ რამდენი წყალი გაედინებოდა ორივე მდინარეში წყალუხვობის დროს.

ზოგჯერ ასეც ხდება: მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს!

პატივცემულო ოთარ! ზღვამ უნდა იღელვოს, წვიმამ უნდა დაგვასველოს, სიცივემ თბილი პალტო უნდა ჩაგვაცვას, ქარმა ყურებიანი ქუდი უნდა დაგვახუროს, მაგრამ მცურავმა რაზმმა (ისიც ნომერმა ოცმა) უნდა იცუროს და, რაც მთავარია, საქმე აკეთოს!

მინდა, თქვენი ყურადღება ერთ-ერთი დოკუმენტიდან ამოღებულ აბზაცს მივაპყრო: **„...საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც „ნოვოროსიისკმორსტროის“ ტრესტი, ისე მისი № 20 მცურავი რაზმი (უფროსი ო. ი. ნოდია) ქ. ქობულეთში მიმდინარე სამუშაოებს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ — ობიექტებს ვერ უზრუნველყოფენ სამშენებლო კონსტრუქციებით, მასივებით, სამშენებლო მასალებით, მცურავი საშუალებებით (100-ტონიანი ამწე „ჩერნომორეცით“) და სხვ.“**

ახლა ერთი თხოვნა გვაქვს: თუ შეიძლება, ამ წერილის მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე თარგმნეთ და ნოვოროსიისკის საზღვაო მშენებლობის ტრესტს გაუგზავნეთ, თუ არადა, შევეცდებით. ეს საამე ჟურნალ „კროკოდილის“ საშუალებით მოვაგვაროთ.

ნება მიბოძეთ, წერილი თქვენი ახსნა-განმარტებითი ბარათიდან მოტანილი სიტყვებით დავამთავროთ (თანაც შეგახსენოთ, რომ ჩვენ თქვენთან გასული წლის დეკემბერში ვიყავით): **„...მართალია, ზამთრის პერიოდში, როდესაც მოსალოდნელია შტორმები ზღვაზე და მნიშვნელოვანი წვიმები, რაც უთუოდ გააძნელებს მდინარეში მუშაობას, ვეცდებით მუშაობა გავაგრძელოთ და დავაჩქაროთ იმ ანგარიშით, რომ კონსტრუქციების მონტაჟი და ობიექტი მთლიანად დავამთავროთ 1981 წლის ზაფხულში...“**

გისურვებთ შრომით წარმატებებს თქვენ და თქვენთან ერთად მოცურავე სამშენებლო-სამონტაჟო რაზმს!

„ნიანგის“ დავალებით

ჟანი სიხარულიძე

P. S. ამ ფოტოსურათს სამახსოვროდ ვბეჭდავთ. **თქვენი და თქვენი რაზმის წყალობით იქნება ისე გადაკეთდეს და დამშვენდეს ეგ ადგილი, რომ მოსაგონებლად ესღა დაგვრჩეს!**

ჩვეულებრივი დიალოგები

მოსმენილი ჩვეულებრივ ქელეხში ანუ კონცერტი ღია სცენაზე

— შევავსეთ ხელით! ინებეთ! გელით!
წარმოდგენაზე გიწვევთ, ბატონო!
(დალახვროს ღმერთმა! — რის
წარმოდგენა?! —
გასვენებაა ეს უპატრონო!)
არა გვაქვს ფარდა! გვყავს
რეჟისორი, —
აგერ რომ ყვირის! თავი კაცია!
არავითარი ბომბარდირება!
არავითარი ავიაცია!
ვის რამდენი სურს, იმის მიხედვით!
ვის რა მადა აქვს, ან სისქე ჯიბის!
(იმ კაცს, ხუთ თუმანს რომ
ატრიალებს,
უხარია, რომ ვილაცას ჯაბნის!)
— მიირთვით, შესვით, რამდენიც
გსურდეთ!
ხომ ხედავთ, სუფრას ბოლო არ
უჩანს?!
რის მორიდება?! თუ გნებავთ,
მთხოვეთ,
ახლავ მოგართმევთ ახალ ალუჩას!
— ტირიან?
— ჩუმად! დაღვრემილ სახით
გამოემართა ჩვენკენ ანტონი!
— შავი აცვია?
— გგონია, გლოვობს?
— ისე აშენდა მაგის პატრონი!
— ჩვენთან კი არა, სულ სხვა გზით
მიდის,
იქ, სადაც კაცი შემოსულს ითვლის!
— მოიგო?
— როგორ კადრულობთ?! ხუმრობთ?!
გადააჭარბა მილიონს თითქმის!
„მთავარი გმირი“ ასპარეზს ტოვებს,
გამოაქვთ ბავშვებს ყვავილთა გროვა,
შეჰკივლა რძალმა, მიჩუმდა ხალხი!..
— ახლა იწყება ნამდვილი გლოვა!
— გლოვა?! რის გლოვა?! ასეა წესი,
თორემ ისედაც ხომ ვიცით ბევრმა,
სწორედ ემაგათ აუგეს წესი, —
გამოასალმა სიცოცხლეს გერმა!
ჩამოასვენეს კიბიდან კუბო.
ვილაც ხმამაღლა კითხულობს
„უსტარს“!
— ვერ ჩამოსულა?
— ჰო, მართლა, მაგის
უფროსი ბიჭი ვერ ტოვებს რუსთავს!
— ცდებით, ბატონო! შემოსავლიდან
წილს არ აძლევენ, ამიტომ დარჩა!
— შემოაყოლეს ფარდებზე თალხი?
— არა, უბრალოდ შეღებეს ფარჩა!
— მიასვენებენ მოუსვლელ გზაზე!..
— ვერასდროს ვეღარ მოვა, ბატონო!
— ბოლომდე გინდათ დაესწროთ
სპექტაკლს?
— გასვენებაა ეს უპატრონო!..

თეიმურაზ ლანჩავა
(ქ. ქუთაისი)

ნახ. გ. ლომიძისა

„ფრიადზე“ რომ არაფერი ვთქვათ, შემცირდა „კარგი“ შეფასებით მიღებული სახლების რიცხვი, განსაკუთრებით ცუდად სრულდება ასანყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამონტაჟების სამუშაოები.

გაზეთიდან —



არ გაჭრათ მაგ ლენტს კარ ფანჯრები უჭირავს!



როცა ვუყურებ მასივებს, რალაცა გულზე მასივებს:
ასი სახლი დგას მასივში, ჩემი მგონია ასივე!

ევგენი საზონოვის მონოლოგები

● **თუ** კაცს იუმორის გრძნობა არა აქვს, იმის გრძნობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იუმორის გრძნობა არა აქვს!

● **ვინმეს** თუ სიტყვა მივეცი, ეს იმას ნიშნავს, რომ მე იგი უკვე აღარ მეკუთვნის!

● **ჩვენ** ცვალებად სამყაროში ვცხოვრობთ! — თქვა ევგენი საზონოვმა და ბოძზე განცხადება მიაჭედა ბინის გაცვლის თაობაზე!

● **კომედიების** სანახავად მაშინ დავდივარ, როცა სიცილისაგან მინდა დავისვენო!

„ლიტერატურნაია გაზეტა“

თაგვმა პალტო შეჭამა!..

თბილისი დ. მათ შორის, ეირთხები. თუმცა კაღაშსა და მეალს არ ხმარობენ, მაგრამ მაინც ახურებენ დღიურების შეკვეთა-დაწერას. ალბათ, ბევრს გაუკვირდება, თაგვმა რა დღიური უნდა დაწეროსო? რომ იცოდეთ, ზოგი თაგვი თუ ეირთხა, დღიურს დაწერს კი არა, კბილებით დაღრღნის, ოღონდ საბოლო ნახოს!

პოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა ჩვეულებრივმა ეირთხამ, სანეპიდსადგურისაგან რომ იყო თავაშვებული, ნახა საკბილი და ანონიმური წერილი კი არა, საკუთარი ხელწერის „დღიური" დაგვიტოვა. ავტორის გვარი გახლავთ ქიმიკაძე. ეს გვარი უბოდეს მას, ვინც დღეისადაგ ქიმმნშენდის ფაბრიკებით სარგებლობს. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ გავშიფრავთ ქიმიკაძის სტენოგრაფიულ **დ ღ ი ურ ს**: „მე, ვირთხა ქიმიკაძემ, 1980 წლის 22 ნოემბერს, ღამის სამ საათზე, მოგინახულე ქიმიური ნმენდისა და თეთრეულის რეცხვის გაერთიანება „თოლიას" 48-ე მიმდინარი პუნქტი, რომელიც მდებარეობს ობილისში, ოქტომბრის ქუჩაზე. შუადღემ გადასული იყო და გამეე **მერი ლურსმანაშვილი** იქ როგორ დამიხვდებოდა? ან კი რაში გამომადგებოდა?! მე ჩემი საქმე მქონდა გასაკეთებელი: ის ლაქები უნდა ამომეღო, ქიმმნშენდის „ჯადოქრებიც" კი რომ ვერ იღებენ! ამას მე საზოგადოებრივ სანყობებზე ვაკეთებ! შესაძლოა თანავე ერთ იმპორტულ პალტოს დავადგი ჯერ თვალი და მერე — კბილი. პალტოს მარცხენა სახელოზე ისეთი რიგული ქიმიური შეგვენილობის ლაქები აწნდა, რომ, ჩემს მეტი, იმას ვერავინ ამოიღებდა. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ლაქების ამოღებას შევუდექი. პალტო ტკიცილა ალმონდა! ეს კი ჩვენში, ეირთხებში, დელიკატესად ითვლება! ალბათ, მთელიან პალტოს ჩვიდგამრეკებდი. რომ ლოტკინის მთაზე ჭიანკანი მამალს გაოვენებინას არ დაეყოფილა და ჩემთვის „სამუშაოს" დამთავრება არ ემცნო. 48-ე პუნქტიდან სიიდუმლო ხელ-ლით გავედი".

ამ დღიურის დაწერიდან სამი დღის შემდეგ დაინერა ეოერ ეირიგის ახალ დიდმელილშვილის **გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**. „მოგახსენებთ, რომ გასული წლის 21 ნოემბერს, 48-ე მიმდეგ პუნქტშინ გასაამნენდად ჩავაბარეთ ჩემი ორსამანენთანანი ტკიდის პალტო. დანიშნულ დღეს გამოსაცმანად რომ მიეკითხე, დახეტლი პალტო მომაჩერეს, მე გაოეკეთულმა ეიკითხე:

— რა არის ესე?

— ეს თქვენი პალტო გახლავთ! რა ბოხდა, მარჯვენა სახელო თუ შემოფეთქილიო?! სამაგიეროდ, გულდამით არის გაზმენდილი! — მიპასუხა პუნქტის გამგემ მერი ლურსმანაშვილმა.

— ასე დაფლეთილი ჩაგაბარეთ?

— არა!

— აბა, ვინ დაფლითა?

— მერჩენელებმა!

— მერედა, თქვენს პუნქტშინ მერჩენელებს რა უნდა?

— ახლა არ მკითხო, თბილისში მერჩენელებსა და ეირთხებს რა უნდათო?! ამ კიდევ არ დაინყო ნუნნენი, ჩემი პალტო ორსამანენთანიანო! დიახ, დიახ! ეიცოდით თქვენი ქირეეული ხასიათი და ამიტომაც თქვენი დაღრღნილი პალტოს ფასი ნინასწარ განესაზღერეთ! მიკითხეთ გაერთიანება „თოლიას" ხელმძღვანელობასან!

ე. **დიდმელილშვილი** ზამთარმა ისე შეანუხა, რომ ოფუღეული გახდა, გაერთიანება „თოლიას" ხელმძღვანელობისათვის განცხადებით ეთხოვა: დამიბრუნეთ ჩემი პალტო! ხალნნი არ ხართ?! გარეთ ეღარ გამოვდივარ, ზამთარიაო!

„თოლიას" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ა. **დემურაძემ** კი დიდმელილშვილის განცხადების საფუძველზე, შემდეგი შინაარსის მიმართვა გაუგზავნა ქ. თბილისის სასაკონლო ექსპერტიზის ბიუროს უფროსს ა. ფარულავას: „მოქ. დიდმელილშვილის საჩივართან დაკავშირებით გთხოვთ, მოავლინოთ ექსპერტი, რათა დაგვიდგინოს ქიმიურად გაზმენდილი პალტოს ღირებულება, პირველი და ახლანდელი, მასთან ერთად ეკეთოს „ექსპერტიზა".

ექსპერტმა ა. ჭანშენიძემ პასუხი არ გაგეიანურა და 1981 წლის 3 იანვარს „თოლიას" **მ ა ნ ე ბ ა** „ქ. თბილისის ქიმმნშენდის ფაბრიკამ საექსპერტოდ წარმოდგენილი იყო ქალის პალტო საზღვარგარეთული, ხმარებისაგან ცვეთილობა ჰქონდა 50 პროცენტით დაკარგული. ნმენდის დროს, ქიმმნშენდის ფაბრიკაში მერჩენელებმა დაუკარგეს ზემოდ აღნიშნული პალტოს თავისი პირვანდელი სასაქონლო სახე 40 პროცენტით. ახალი პალტოს ღირებულება პრეისკურანტით (3-39-ის თანახმად არის 125 მანეთი, ხოლო ამჟამად ცვეთისა და მერჩენელებისაგან დაკარგული ღირებულების გამოკლებით პალტოს ფასი შეადგენს 12 მან. და 50 კაპიკს".

ექსპერტის დასკვნის საფუძველზე კი „თოლიას" იურისკონსულტმა მ. ა. **დადიანმა** ასეთი დასკვნა წარუდგინა: „1981 წლის 3 იანვარს № 8688 აქტის საფუძველზე ახალი პალტოს ღირებულება არის 125 მანეთი, ცვეთისანობა 50 პროცენტი. ამიტომ მიიღო დაზიანება ქიმმნშენდის ფაბრიკაში — მერჩენელებმა დაუზიანეს 40 პროცენტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოქ. ეიდმელილშვილის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და მას უნდა აუნაზღაურდეს პალტოს პირვანდელი ღირებულება ცვეთის პროცენტის გამოკლებით 52.3.56 ფ. კაპ. ნარმოებაში დატარებულ ეგზეთეულ ეინ-კარგულებას".

ე. დიდმელილშვილ „ეანერეულ" თეთრეულს ან დამბარნეთ ჩემი დაუურლეული პალტო, ან ახალი მიეიდეთო!

ქიმმნშენდის მუშაკები ამაზე ხელებს შლიან: რა ვქნათ, თაგვმა ჭამა პალტო, პალტომ — პატრონის ნერეები! თაგვი შეჭამს წაბალს, ნამალი შეჭამს თაგვს!..

და ზამთარიც გავიდა!..

„ნინანის" ეარაუდი: თუ გაერთიანება „თოლიამ" ასე გაგაჩერეა „მუშაობა", ბანსაცმელი და თეთრეული მერჩენელებს დაუჭმევინა, ეს მშვენიერი სახელნოდება „თ ო ლ ი ა" წაერთმეეა და „მ ე რ ჩ ე ნ ე ლ ი" დაერქმევა!

ალთაბნდილ ადეიშვილი,

ნანა ჯაჯანაშვილი.

უშაო ქეშაკ გაკეთაოოთ ეარიტეა და თვითეარიტეა!

— ჩვენი სათქმელი გითხარით! ახლა ცოტა ბორჯომი დაგინსიეთ!

— ბორჯომი და წყნარი ცხოვრება თუ გინდო. დ., ბიძია, ცოტა ენა უნდა დაგემოკლებინა!..

ზ რ ა ზ ე ბ ი

- ჭიანის მ ი ნ ა ტ ე ბ ა ავტორიტეტის მომატებას რიდი ნიშნავს.
- როცა თ ა ვ ი ნინასწარობას კარკაზს, ცხვირი ზევით იწევს.
- ფირეკტორისთვის უ ტ ბ ო არ იყო თავთუფალი ეარაჭინა — ბევრის შეხრეულეას „შეაჯატეეთო" ეიბავდა.
- ჯაკუაც რომ წინიოს კატეგორიებად დაიყოს, ცხოვრება გაადვილდება.
- ერთ ხ ა ნ ა ვ ი რი ზეზონში ორ კურდღელს ვერ დაიჭერ!
- ჭელის ნ ა ე ბ ა ნ მისი გიფლატეა ხერხს!

ანდრო კოკოლია

ეოლოი ახალგაზდეგი

ტონეს" სამლერით შეეარდა!... ისიც გაოთავიტუდეს!..

ბეეჩვეს ავადმიყოფნაში ეიხვეი ცოვცოვი ლედი: თან ხელ ამას ეუკოეიენეზდი: აბა, შენ იცი, არ შეგვეარცხეანო-ბეთეკ! მაინც შეგვარცხეანა; გამოსაფხიზლებელში მოხვედ და ჩვენი ხამპართველი ლოთი თანამშრომელის ეოლანთვის ტელეეეზორში გამოაკენეს!..

ეუშინ ჩვენმა მმართველმა სასაკეთო სიგელი გადმომეცა და კრეის მოახენა:

— ეეხეედიტორის ადგილზე ოამდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელი გიოოეცადეთ და ეკეელ ლოთი გამოდგა! ბაღლობა ეუთხრათ დურმიშანს! ასეთი ხიბიზნესისათვის ან კოხოეოთ, კალეაც ერთგულად ვეეესახურო!

დარბაზში ტაშს. იგრიალეს!..

პალერიან მამუკელაშვილი



ნახ. ბ. ფიროცალაკიანი

— რატომაა ეს კატლეტი ასე ერთი ციცქნა?

— მიჩვეული ვარ, გენაცვალე: ეს ორი დღეა, რაც საბავშვო ბაღიდან გადმოიყვანეს!

ეეესეს!..

— კაცო, ავთო ხარ?

— შაერო!

— საიდან, როგორ, რა ქარმა გადმოგაგდო?!.

— მივლინებით მივდივარ მურმანსკში!

— როგორა ხარ, რას შერება, სად მუშაობ?

— არა მიშავს, საკონსერვოში ვმუშაობ ტყემლოლოგად. თავად როგორ ხარ? შენ რა გითხრა!.. ეახსოვს, რა დღეში ვიყავით?..

— როგორ არ მახსოვს, ჩემმა ავთოიან! როგორ გამახარე!.. მეც არა მიშავს, ეკოლოგიურ პარტიაში ვარ!.. ჯემალა ხომ გახსოვს, ჩვენი ჯემალა?

— როგორ არ მახსოვს!

— ნოდგინეეში მუშაობს ეინეკოლოგად, სამი ბიჭი ჰყავს!..

— ის შეირთო, არა?

— ჰო, ის შეირთო, გაიპარნენ... სოსოოია ენახე ამას წინათ იგოროს ბანკეტზე. მაგარ საქმეშია — წვენებშია ენერგეტიკოსად.

— იურა ხომ არ შეგხვედრია სადმე? როგორ დაიკარგა ის ბიჭი, რა ნიჭიერი იყო!.. ოჯახი აერია საწყალს, არ გაუმართლა! მუშად დაუწყია სადღაც მუშაობა, მგონი, ეკორაბები გაპყავს!

— ვერაფერს გეტყვი, საერთოდ არ შემხვედრია, რაც დავამთავრეთ!..

— თამაზიაზე თუ გესმის რამე?

— თამაზიამ ცოლი შეირთო და ბუღალტრად მუშაობს ხილ-ბოსტანში!..

— გოგია დარჩა და დარჩა სოფელში, ხომ?

— რა ქნას, ვერ მიატოვა მოხუცი მშობლები!.. ისე არა უშავს, ბიოლოგიას ასწავლის, კარგი სახელი აქვს.

— მიტო ისევ ცირკშია?

— ჩინებული აკრობატია, ძმაო!...

— რამდენი წელია, რაც დავამთავრეთ?

— თვრამეტი თუ ცხრამეტი...

— აგაშენა ღმერთმა!.. დაგბერდით! აფსუს, ძმაო, ჩვენისთანა გამოშვება ფ ი ლ ო ლ ო გ ი ი ს ფაკულტეტს არ ჰყოლია!..

ნომადი გართია

მკურნალობა სჭირდება!

არის ერთი მშენებელი —
სამშენებელი კანტორა!
რასაც მოხვდა მისი ხელი, —
დაანგრია!.. დატორა!..

ამ კანტორამ ჩვენს ქალაქში
რემონტები დაიწყო,
ჩაქუჩების ცემის ხმაც
საღილ სამქე არ იყო:

სახურავის შეკეთება
ერთი წელი გრძელდება!..
ზოგჯერ წვიმა გვაწვიკებს,
ზოგჯერ ყინვა ხელდება!..

ერთი ოთახში შეხიზნულა
ყველა თანამშრომელი!..
აღმასკომში მიდი-მოდის
განცხადება, მთხოვნელი!..

სარემონტო ჯგუფის მოსვლა
რახანაა გვწადია,
ვიღას ესმის ჩვენი ოხვრა?! —
დაკვეთეწყეს, ცხადია!

საჩივრები, საჩივრები,
საჩივრები ხმირდება!..
მშენებლებსაც, თურმე, ზოგჯერ,
მკურნალობა სჭირდება!

ხერგო ჟურაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— გვყავდა ჩვენ აქ დირექტორი, მაგრამ ასე არ გვაწუხებდა სამსახურის საქმეებით! ბოლოს და ბოლოს, მოგვეცით აპრესუნთქვის საშუალება!

მას შემდეგ, რაც თბილისში, პავლოვის ქუჩაზე მდებარე ბაღში ძაღლები საგრძნობლად მომრავლდნენ, აქ მოსეირნე ხალხი ორ მტრულ ბანაკად გაიყო: ძაღლიანებად და უძაღლოებად. ძაღლიანები, ძირითადად, ბაღის მარცხენა მხარეს იკრიბებიან; აქეთ ლამაზი მდელო და ძაღლებისათვის ლაღად სარბენი ადგილია. მარჯვნივ, შადრევანთან, უძაღლოები არიან მიყუჟულნი. ამ დაჯგუფებებში დიალოგებიც ცასა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

— ეს ძაღლი რომ არ მყავდეს, დიდი ხანია, ინფარქტი დამემართებოდა! — ამბობს ჩასუქებული პროფესორი და თავის დობერმან-პინჩერს გატიტკინებულ ზურგზე უსვამს ხელს. — გინდა თუ არა, დღეში სამჯერ მაინც უნდა გამოვიყვანო სასეირნოდ, ძალაუნებურად შენც სუფთა ჰაერზე ხარ, მოძრაობ! ეს კი მთავარი ყოფილა ჯანმრთელობისათვის! ჯერჯერობით, არაფერს ვუჩივი!

— ჩემი ჯერომიც სამჯერ გამომყავს დღეში! ისე კი, ოთხჯერ აჯობებდა, მაგრამ მეტს ვერ ვიცლი! — სათნო ღიმილით თქვა შუახნის სიმპატიურმა ქალმა და თავის ფოქსტერიერს ყელსაბამი შეხსნა. — ჯერომ, გულიაი! გულიაი!

ჯერომი გაიქცა!..

უძაღლოთა ბანაკში კი აღშფოთებამ და ჩოჩქოლმა იმატა:

— არ გაძაღლდა აქაურობა?! — ამბობს სათვალიანი ინტელიგენტი, — რამ გადარია ეს ხალხი ამ ძაღლებზე?!

— უყვარდეთ, ბატონო!—ჩაერია ლაპარაკში შუახნის დარბაისელი კაცი, — მაგრამ ეს ბაღი რომ ძაღლების საზოგადოებრივ ტუალეტად აქციეს, ამას ვერ ვურიგდები! ანტისანიტარიის ბუდედ ნუ აქცევენ ბაღს!

— ბატონო, ბავშვი ვერ გამომიშვია ბაღში მარტო! სკოლაში ვერ ნასულა, ამათი გადამკიდე! დაძრწიან ეს ძაღლები უალიკაპოდ! ბავშვს რომ უკბინონ, ვის მოვთხოვო პასუხი?! რომ არ უკბინონ, ისეც გადარევენ ბავშვს შიშით! აღარ არსებობს აღარც წესი, აღარც კანონი?! — განიწმატდა სამი ბავშვის მშობელი.

ხანდახან ეს ორი დაჯგუფება შორიდან

ჩვენ და „ჩვენი ეცირე ძმები"

გამოელაპარაკება ხოლმე ერთმანეთს. საუბრის თემა ისევ ძაღლებია:

— რა ჯიშისაა ჩიპო? — ვითომდაც გულუბრყვილოდ კითხულობს უძაღლოთა ბლოკის წარმომადგენელი, თუმცა მშვენივრად იცის, რომ ჩიპოს გენეალოგიაში თვით უფალი ღმერთიც ვერ გაერკვევა.

— არაფერი ჯიშის არ არის ჩიპო! — ალბათ, უკვე მეათასედ, ამბობს უჯიშო ძაღლის გაბრაზებული პატრონი.

— ბატონო დომენტი! ეს ის ძველი ძაღლია, თქვენ რომ გყავდათ, თუ ახალი? — ეკითხება ვიღაცა დობერმან-პინჩერის პატრონს.

— არა, კაცო! ის ხომ მოკვდა! ისიც ამ ჯიშისა იყო, თორმეტი წლისა მოკვდა! აი, ძაღლი ის იყო, თუ იყო!

ასეთი ირონიული, მაგრამ მშვიდობიანი გადალაპარაკება თანდათან სულ უფრო იშვიათი ხდება. მდგომარეობა ორ ბანაკს შორის საოცრად იძაბება, და, საცაა, იფეთქებს კონფლიქტი!..

— ე, უშველეთ თავს! რიჩარდი- ბოდის! — იკივლა ძაღლების მოძულე ინჟინერმა. მართლაც, ბოლო ბილიკზე ბაღის რისხვის — ავჩარკა რიჩარდის ვეება ფიგურა გამოჩნდა. ყველანი კუთხეში მივიყუჟეთ!.. ამჯერად გადავრჩით! — რიჩარდს ჩვენთვის არ მოუქცევია ყურადღება: თავისივე ჯიშის ძაღლს აედევნა!

— ერთი რამე მოვიფიქრე, ძმებო და მეზობლებო! — დინჯად დაიწყო მოხუცმა მათემატიკოსმა, მრგვალი სახის, ზომიერი ღიპისა და მხიარული გამომეტყველების მელოტმა კაცმა, — რაღაც სკოლა ყოფილა ოთხთვიანი, სპეციალურად ძაღლებისათვის, სამასი მანეთი უნდა, თურმე. ამდენი ხალხი ვართ, შევაგროვოთ ეს ფული, პატრონს ვურჩიოთ, — არ გიჯობს, განვრთნილი ძაღლითქო?! დაგვეთანხმება, ალბათ. თუ მთლიანად არა, ოთხი თვე მაინც გავთავისუფლდებით ამ ძაღლებისაგან!

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული, ფული სასწრაფოდ შეგროვდა. რიჩარდი სკოლაში უგამოცდოდ მოხვდა, სამი თვეა, რაც ამოისუნთქეს მეზობლებმა, ნანილობრივ — ბაღში მოსეირნეებმაც. მაგრამ, ვაი, რომ სწავლების ვადა იწურება, და, ერთ თვეში, რიჩარდი დაბრუნდება!.. თუმცა, იმედი მთლად არ დაგვიკარგავს: მათემატიკოსი უკვე ეძებს ძაღლების ახალ უმაღლეს სასწავლებელს. მეზობლებიც ისეთი მონდომებით ეხმარებიან, რომ, შეიძლება, დისერტაციაც დაიცვევინონ რიჩარდს, ოღონდაც სახლში ნუ დაბრუნდება!...

— ეჰ, თქვენ ბევრნი ხართ და, რიჩარდს რაღაცას უშველით! — თქვა ნაღვლიანად მოპირდაპირე სახლში მცხოვრებმა სათვალიანმა კაცმა, — მაგრამ ჩვენ რა ვუყოთ ბიმს, ჯიმს, დიკს, ჯერომს, მიკის და მისთანებს?! მარტო ჩვენს სახლში ოცამდე ძაღლია!..

— ჰყავდეთ, ბატონო, ეს ძაღლები! — გაიმეორა შუახნის დარბაისელმა კაცმა, — მაგრამ ჩვენი ნერვების ხარჯზე ნუ იქნება ეს ყველაფერი! დაიცვან ცხოველების ყოლისა და მოვლის წესები! ნუ ააორხებენ აქ ყველაფერს, ნურც მეზობელს შეაწუხებენ! ნუ გადამირევენ ბავშვებს და ჩვენც არ ამოვიღებთ ხმას!

ასეთი დიალოგები იმართება ყოველ დილასა და საღამოს პავლოვის ქუჩაზე მდებარე ბაღში.

აქ მომსვლელები შეწუხებულნი შეჰყურებენ ძაღლების თავაშვებულ თარეშს, და, არავინ უწყის, რით დამთავრდება ეს დიდი კონფლიქტი!

ამუნია ლეკვინაძე

გაოცებული ნიშნავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანსიონატ „მახინჯაურში“ დასვენებისათვის არავითარი პირობები არ არის შექმნილი! — სწერდნენ რედაქციას.

პროფკავშირთა საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოდან, სადაც წერილი შესასწავლად და ზომების მისაღებად გადავგზავნეთ, შეგვატყობინეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

პანსიონატ „მახინჯაურში“ მართლაც იყო შეფერხებები სურსათით მომარაგებასა და კულტმასობრივ მუშაობაში.

სუსტი მუშაობისათვის პანსიონატის მთავარი ექიმი დ. გ ა ბ ე ლ ა ი ა გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

●

რედაქციაში **გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ წერილში ამხელდნენ ნაკლოვანებებს ლაგოდეხის სამგზავრო ავტოსადგურის მუშაობაში.**

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროდან რედაქციას აცნობეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის, მგზავრის კანონიერი მოთხოვნის იგნორირებისა და შემმოწმებელი პირისათვის ბილეთის შეძენისას ხურდის დაუბრუნებლობისათვის მოლარე **შ. ს ა რ ქ ი ს ო ვ ა** **დათხოვნილია სამუშაოდან.**

დაბალი საშემსრულებლო დისციპლინის, სადგურის მუშაობაში არსებული სერიოზული დარღვევებისათვის სამუშაოდან გათავისუფლდნენ სადგურის უფროსი **ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი** **და** მოლარე **რ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე.** **კონტროლიორებს ს. გ ო გ ო ლ ა ძ ე ს** **და** **უ. პ ო დ ო ს ო ვ ს** **გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.**

●

ონის **რ ა ი ო ნ ი ს** **სოფელ ბარიდან რედაქციას მოსწერეს, სოფლის მოსახლეობის საავტობუსო მომსახურება სათანადო დონეზე არ დგასო.**

სახალხო დეპუტატების ონის რაიონული საბჭოს აღმასკომიდან, სადაც აღნიშნული წერილი გადაიგზავნა, გვაცნობეს: წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ონის რაიონში, მთიანი და რთული რელიეფური პირობების გამო, სერიოზული სიძნელეებია შექმნილი სოფლებში საგზაო მშენებლობისა და მოსახლეობის საგრანსპორტო მომსახურების თვალსაზრისით. ამასთან რაიონის მთიან სოფლებში საგზაო მშენებლობის საკითხები ფართოდ იქნა გათვალისწინებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 ივნისის დადგენილებაში — **„1979-85 წლებში ონის რაიონის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“**, რითაც საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსა და ონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ძალებით 1980-88 წლებში უნდა მოხდეს რაიონის სოფლების 60 კმ სიგრძის საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია.

ონის რაიონული საბჭოს აღმასკომის საგზაო-საწარმოო უბანმა, 1977-78-79 წლებში, ბარის სასოფლო გზის კეთილმოწყობისათვის 58.666 მანეთის სარეკონსტრუქციო სამუშაოები შეასრულა. მიუხედავად ამისა, ბარის სასოფლო გზა, მთიანი და რთული რელიეფური პირობების გამო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ არ მიიჩნია შესაძლებლად საავტობუსო მოძრაობისათვის. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რაიონული საგზაო უბანი კვლავ ჩააგარებს 9 ათასი მანეთის დამატებით სამუშაოებს, რის შემდეგაც, ზამთრის პერიოდის გარდა, უზრუნველყოფთ ავტობუსის დანიშვნას ბარის მიმართულებით.

●

ტ ყ ი ბ უ ლ ი ს **ზ ო ნ ი ს** **სოფელ კოკაში** **დაზიანებულია სასმელი წყლის მილგაყვანილობა და ხიდები, ფერხდება ელექტროენერგიის მიწოდება და ქუჩების განათება არასტაბილურია!** — სწერდნენ რედაქციას.

სახალხო დეპუტატთა ტყიბულის საქალაქო საბჭომ რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება და მიღებულია ზომები მათი აღმოფხვრისათვის.

კერძოდ, გასულ წელს სოფელ კოკაში „საქმთავარენერგოს“ ტყიბულის საქსელო რაიონის (უფროსი **ვ. ჯავახაძე**) ბრიგადამ 1,5 კმ სიგრძეზე არასტანდარტული ელექტროსადენი სტანდარტულით შეცვალა, წესრიგშია მოყვანილი სატრანსფორმატორო პუნქტი, დაიდგა ახალი ენერგობოძები.

ორპირის სასოფლო საბჭოს ხარჯებში გათვალისწინებულია სოფ. კოკაში დაზიანებული ხიდებისა და ქუჩების განათების წესრიგში მოყვანის სამუშაოები. ისინი მიმდინარე წლის 1 ივნისამდე დამთავრდება, ხოლო ორპირის კოლმეურნეობის გამგეობას მიეცა მითითება — სოფ. კოკაში სასმელი წყლის მილგაყვანილობის სისტემის წესრიგში მოსაყვანად.

ნახ. მ. აბაშიძისა



298
10.V
81

81-298

ნახ. გ. ლომიძისა

გზაჯვარედინზე

მხოლოდ მცირეოდენი განსხვავება...

ნიუ-იორკში, მედისონ-ავენიუზე მდებარე პრესვიტერიანელთა ეკლესიის ქადაგს დევიდ რიდს „ადამიანთა ოჯახის“ საზოგადოებამ „წლის საუკეთესო ღვთისმსახურის“ წოდება მიანიჭა. ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის გამო გამართულ საზეიმო კრებაზე პრინსტონის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების სემინარის ხელმძღვანელმა ჯეიმს მაკკორდმა განაცხადა: „რიდი არა მარტო გამოჩენილი მქადაგებელია, არამედ კაცია, რომელსაც აქვს დიდი საღვთისმეტყველო ცოდნაც. ასე, მაგალითად, მან დაადგინა, რომ სამოთხეა და ჯოჯოხეთს შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, რადგან ორივე თანაბარი მანძილით არის დაშორებული დედამიწის პირს, თანაც ტემპერატურაც ორივეგან ერთნაირია. ხელმძღვანელობაა მხოლოდ განსხვავებული. სამოთხეში პოლიციელებად ინგლისელები მსახურობენ, მზარეულებად— ფრანგები, ინჟინრები გერმანელები არიან, ადმინისტრატორებად — შვეიცარიელები, საყვარლების მოვალეობებს იტალიელები ასრულებენ. ჯოჯოხეთში კი გერმანელები პოლიციელები არიან, ინგლისელები — მზარეულები, ფრანგები — ინჟინრები, იტალიელები — ადმინისტრატორები, ხოლო შვეიცარიელები — საყვარლები. ესაა ღა ეს“.

ჟურნალი „ნოვოე ვრემია“

ᲘᲐᲜᲒᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 8 (1594). აპრილი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ნომადი ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
გელან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ალექსანდრე სამსონია,
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ბანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
23. 3. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
24. 4. 91 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 889. უე 00686.
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.
ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞᲘᲙᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 76137